

## გადაზღვევის ბიზნეს-პროცესის აპტომატიზაციის ამოცანა

მარინე თუშიშვილი<sup>1</sup>, ქეთევან ავალიშვილი<sup>1</sup>, დავით უორულიანი<sup>2</sup>  
1-საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, 2-შპს „მაისოფტი”.

### რეზიუმე

განხილულია გადაზღვევის ამოცანა, როგორც რთული ბიზნეს-პროცესი და ამავდროულად რთული ეკონომიკური ურთიერთობის სისტემა. აღნიშნულია რომ სადაზღვევო კომპანიების სტაბილურობას მნიშვნელოვნად განსაზღვრავს მისი გადაზღვევის პოლიტიკა და გადამზღვევი პარტნიორების სწორად შერჩევა, რაც ითხოვს ოპტიმალურ გადაწყვეტილებას. სტატიაში განხილულია გადაზღვევის ძირითადი ფორმები, ეტაპები და მიმართულებები, რაც ბაზებს სხვადასხვა შინაარსისა და სირთულის ამოცანებს და გულისხმობს ისეთი ინფორმაციული სისტემის შექმნას, რომელიც უზრუნველყოფს ამ პროცესების ავტომატიზაციას. ნაშრომში მოყვანილია ის კონკრეტული მოთხოვნები, რასაც უნდა აქმაყოფილებდეს გადაზღვევის ავტომატიზაციის ინფორმაციულ-ტექნოლოგიური სისტემა და განსაზღვრულია ამ სისტემის ძირითადი მოდულები.

**საკვანძო სიტყვები:** გადაზღვევა. ფაქულტატური. ობლიგატორული. ცელენტი. ცესიონარი.

### 1. შესავალი

ეკონომიკისა და საინჟინრო პრაქტიკის სხვადასხვა სფეროში უკვე საკმაოდ ხშირად დგება საკითხი რთულ სიტუაციებში ოპტიმალური გადაწყვეტილების მიღებაზე. ამასთან დაკავშირებით ჩნდება მოთხოვნა გადაწყვეტილების მიღების მეთოდებისა და ალგორითმების შექმნაზე, რაც მნიშვნელოვნად ამარტივებს კონკრეტულ პროცესებს და გადაწყვეტილების მიღებასაც მაღალ სამედოობას ანიჭებს. ასეთი ტიპის ამოცანების გადაჭრა ითხოვს გადაწყვეტილების მიღების პროცესების ფორმალიზებას, რაც ცხადია მნიშვნელოვან დახმარებას უწევს პრაქტიკული ამოცანების ამოხსნას.

დაზღვევის თეორიასა და პრაქტიკაში გადაწყვეტილების მიღების ერთ-ერთი ასეთი რთული პროცედურაა გადაზღვევა, ეს არის ოპერაცია ორ სადაზღვევო კომპანიას შორის, რომლის დროსაც დაზღვევის (გადაზღვევის) ხელშეკრულებით ერთ-ერთი მხარე თავის თავზე იღებს რისკის ნაწილს, სადაზღვევო პრემიის გადახდის სანაცვლოდ. ამ დროს თავდაპირველი მზღვეველი (გადამცემი კომპანია) ჩვეულებრივი დამზღვევის როლში გამოდის, რითაც ამცირებს (ან საერთოდ, ნულზე დაჭყავს) თავისი რისკის დონეს.


### 2. გადაზღვევა და მასთან დაკავშირებული პროცესები

გადაზღვევა არის ეკონომიკური ურთიერთობის სისტემა, რომლის შესაბამისადაც მზღვეველი იღებს რა დაზღვევის რისკებს, მათ მიმართ პასუხისმგებლობის ნაწილს გადასცემს სხვა მზღვეველებს (გადამზღვეველებს) შეთანხმებული პირობების შესაბამისად, რითაც

შეძლებისდაგვარად უზრუნველყოფს ბალანსირებული სადაზღვევო პოლისის შექმნას, ფინანსური რენტაბელობის მდგომარეობისა და სადაზღვევო ოპერაციების რენტაბელობის უზრუნველყოფას. ამგვარად სადაზღვევო კომპანიის სტაბილურობას შეიშვნელოვნად განსაზღვრავს მისი გადაზღვევის პოლიტიკა და გადამზღვევი პარტნიორების სწორად შერჩევა, რადგან მმღავრ და საიმედო პარტნიორებთან თანამშრომლობა ერთი მხრივ ხელს უწყობს გადაზღვეული რისკების დიდი სიზუსტით მართვას და მეორე მხრივ ზშირად იწვევს კომპანიის გადაზღვევის ხარჯების გაზრდას.

მზღვეველისა და გადამზღვეველის ურთიერთობები ფორმდება გადაზღვევის ხელშეკრულებით, რომლის მიხედვითაც ერთი მხარე, მზღვეველი ან ცედენტი, გადასცემს რისკს და პრემიის შესაბამის ნაწილს მეორე მხარეს, გადამზღვეველს ან ცესიონარს, რომელიც იღებს ვალდებულებას სადაზღვევო შემთხვევის წარმოშობისას გადაიხადოს მასზე დაკისრებული რისკის ნაწილი.

გადამზღვეველს თავის მხრივ, შეუძლია გადასცემს რისკის ნაწილი შემდეგ გადამზღვეველს. ამ შემთხვევაში გადამზღვეველი გამოდის რეტროცედენტის როლში, ხოლო ახალი გადამზღვეველი კომპანია კი რეტროცესიონერად იწოდება. რაც შეეხება რისკების გადაცემის ოპერაციას, მას რეტროცესიას უწოდებენ. 1-ელ ნახაზზე გამოსახულია გადაზღვევის პროცესის ამსახველი სქემა.



ნაზ.1. გადაზღვევის პროცესის ამსახველი სქემა

გადაზღვევაში გადაცემული რისკების ზომა ეკონომიკურად დასაბუთებული უნდა იყოს. გადამეტებული გადაზღვევა, ზოგიერთი გამონაკლისის გარდა (ავიაცია და საკუთრების) უარყოფითად აისახება გადამზღვეველზე. მეორეს მხრივ, რისკების არასაკმარისი გადაცემა, კატასტროფული დანაკარგების დაწყების შემთხვევაში, მძიმე ფინანსურ მდგომარეობაში ჩააყენებს მზღვეველს, რომელიც არ არის უზრუნველყოფილი საიმედო გადაზღვევის დაცვით.

გადაზღვევა ეს არის როგორი ბიზნეს-პროცესი და ამ სფეროში უფერებული პოლიტიკის გასატარებად და ოპტიმალური გადაწყვეტილების მისაღებად, საჭიროა ისეთი ინფორმაციული სისტემის შექმნა, რომელიც გადაზღვევის ძირითადი მიმართულებების გათვალისწინებით უზრუნველყოფს მონაცემების დაგროვებას და კონსლიდაციას და ასევე ბიზნეს-პროცესების ავტომატიზაციას. გადაზღვევის პროცესი ბევრ ფაქტორზეა დამოკიდებული, ამიტომ მისი კლასიფიცირებაც მრავალმხრივია. გადაზღვევის პროცესში, მზღვეველის (ცედენტი) და

გადამზღვეველის (ცესიონარი) რისკების გადაცემის და მიღების თავისუფლების ხარისხის მიხედვით გამოყოფენ ფაქულტატურ და ობლიგატორულ გადაზღვევას.

გადაზღვევის ფაქულტატური ფორმა გულისხმობს გადამზღვევლის და ცედენტის ინდივიდუალურობას ანუ არჩევანის უფლებას. კერძოდ, მიიღოს თუ არა გადამზღვეველმა გადაზღვევის წინადაღება და გადასცეს თუ არა ცედენტმა გადამზღვეველს ყოველი კონკრეტული რისკი და თუ გადასცემს, რომელ გადამზღვეველს გადასცეს და რა პირობებით.

ობლიგატორული გადაზღვევა წარმოადგენს სადაზღვევო კომპანიის გადაზღვევით დაცვის ერთ-ერთ ფორმას, რომელიც ხელშეკრულების გაფორმების აუცილებლობას გულისხმობს. ობლიგატორული გადაზღვევის ხელშეკრულება განუსაზღვრელი ვადით იდება, მისი გაწყვეტის უფლებით, რომელიც შეიძლება გამოწვეული იყოს ორივე მხრიდან – ურთიერთ შეტყობინებით, სადაც პირობები მკვეთრად არის ფორმულირებული. ფაქულტატური გადაზღვევისგან განსხვავებით, ობლიგატორული გადაზღვევისას, გადაცემას ექვემდებარება არა ცალკეული რისკები, არამედ სადაზღვევო პორთფელის მნიშვნელოვანი ნაწილი.

ცედენტსა და გადამზღვეველს შორის რისკის განაწილების სისტემის მიხედვით ანსხვავებენ პროპორციულ და არაპროპორციულ ხელშეკრულებებს.

პროპორციული გადაზღვევის დროს მზღვეველი და გადამზღვეველი სადაზღვევო პასუხისმგებლობას, სადაზღვევო პრემიას და სადაზღვევო ანაზღაურებას ერთმანეთში წინასწარ განსაზღვრული პროპორციით ინაწილებენ, რომელიც შეესაბამება მათი პასუხისმგებლობის წილებს.

არაპროპორციული გადაზღვევის პრაქტიკაში, გადამზღვეველის მონაწილეობა სადაზღვევო გადასახადებისა და სადაზღვევო ანაზღაურების გაცემისას არ განსაზღვრება გადაზღვევის პროცენტით.

თანამედროვე სადაზღვევო საქმეში გადაზღვევა დაკავშირებულია ასევე შემდეგი ძირითადი ფუნქციების შესრულებასთან:

- დაზღვევაზე აღებული რისკების მეორადი გადანაწილება;
- მზღვეველის საქმიანობის რეზულტების ბალანსირების უზრუნველყოფა ყოველი კალენდარული წლისთვის;
- მზღვეველის ფინანსური მდგომარეობის დაცვა;
- ხემოქმედება პირდაპირი მზღვეველის გადახდისუნარიანობის მაჩვენებლების გაუმჯობესებაზე ;
- ლიკვიდური აქტივების წარმოდგენა პირდაპირი მზღვეველის მიერ ზარალის სწრაფი რეგულირებისათვის, როდესაც დგება სადაზღვევო შემთხვევა, დაზღვეული რისკებით.

სამედო გადაზღვევის სისტემა, შეიძლება წარმოადგენდეს ერთ-ერთ კონკრეტულ უპირატესობას სადაზღვევო კომპანიებისათვის, რომლებიც იბრძვიან საქმიანობის გაფართოებისთვის, კლიენტების მოზიდვის ხარჯზე. გარდა ამისა ეს არის ფინანსური ინსტრუმენტი, რომელსაც სადაზღვევო კომპანია იყენებს მისი სადაზღვევო პორთფელის ბალანსირებისთვის, დიდი

ზარალისგან დაცუისთვის და იმ რისკების ჩამონათვალის გაფართოებისთვის, რისი დაზღვევაც მათ შეუძლიათ. გადაზღვევის პროცესში მონაწილე მხარეების მჭიდრო ურთიერთობების შედევად ვლინდება სადაზღვევო კომპანიების მოთხოვნილებები და მუშავდება გადაზღვევის პროგრამები, რომელიც პასუხობს სადაზრვევო ბაზრის არსებულ მოთხოვნებს.

საერთაშორისო გადაზღვევლები ცდილობენ განსაზღვრონ ბაზრის განვითარების მიმართულება და შესთავაზონ მზღვეველებს მომგებიანი გადაწყვეტილებები. მაგალითად, “ალდაგი ბისიაის სადაზღვევო კომპანია” თანამშრომლობს შემდეგ საერთაშორისო საბროკერო და გადამზღვევ ორგანიზაციებთან: *SCOR, Hannover Re, Polish Re, Sava Re, Syndicates of Lloyd's, Allianz, British Marine, Munich Re, Chartis, ACE, General Insurance Corporation of India, Ingosstrakh, Sovag, General Cologne Re.*

## 2. გადაზღვევის ავტომატიზაციის ამოცანა

გადაზღვევის ამოცანებში გადაწყვეტილების მიღება დაკავშირებულია გარდაუცვლ რისკებთან, ამიტომ ასეთი ამოცანების გადაწყვეტა ძირითადად უკავშირდება ამ რისკის მინიმიზაციას. აქედან გამომდინარე, გადაზღვევის ამოცანათა მიმართ ზოგადი მიღება როდესაც მათი ამოხსნა რისკის თეორიისა და გადაწყვეტილების მიღების თეორიის საფუძველზე ხდება, ინფორმაციის დამუშავების პროცესში, უნდა შეიცავდეს გარკვეულ სიახლეებს, კერძოდ ბიზნეს-ანალიტიკის უნდა მიეწოდოს დამატებითი კრიტერიუმები, რითაც მან გადაწყვეტილების მიღებისას უნდა იხელმძღვანელოს.

როგორც სადაზღვევო საქმის მოკლე დახასიათებამ გვაჩვენა გადაზღვევის ბიზნეს-პროცესი ბევრი ეტაპებისა და მიმართულებისგან შესდგება. ეს არის სხვა მზღვეველებთან ურთიერთობის სქემები, სხვადასხვა ხასიათის ხელშეკრულებები, ანგარიშები, ბორდერო, პრემიები, საკომისიოები, ზარალი და სხვა, რაც ბადებს სხვადასხვა შინაარსის და სირთულის ამოცანებს, რომელიც შესაძლებელია შეასრულოს ინფორმაციულ-ტექნოლოგიურმა სისტემამ, რომელიც უზრუნველყოფს მონაცემთა დაგროვებას და კონსოლიდაციას ბიზნესის ძირითადი მიმართულებისთვის, და ასევე უზრუნველყოფს გადაზღვევის ბიზნეს-პროცესების ავტომატიზაციას გადაზღვევისა და ანდერაიტინგის სფეროში უფექტური პოლიტიკის გასატარებლად. დღეისათვის არსებობს უამრავი ნაშრომი, მეთოდი, ალგორითმი და პრაქტიკული პროექტი, რომელიც იხილავს ასევე გადაზღვევის რისკების ოპტიმიზაციის ამოცანებს, რათა შეიქმნას რისკების განაწილების განზოგადობული ფუნქცია, რომლის საფუძველზეც შესაძლებელი იქნება გადაწყვეტილების მიღების პროცედურის პარამეტრიზაცია.

გადაზღვევის ბიზნეს-პროცესების ავტომატიზაციის ინფორმაციულ-ტექნოლოგიური სისტემის ფუნქციებში უნდა შედიოდეს:

- **გადაზღვევის ხელშეკრულებათა აღრიცხვა** - ფაკულტატური და ობლიგატორული გადაზღვევის ხელშეკრულებათა აღრიცხვის გამოყოფა და მათი შესაბამისი მოდულების შექმნა.

- **გადაზღვევის მოდული** – უნდა უზრუნველყოფდეს ფაკულტატური გადაზღვევის შემავალი ხელშეკრულებების და ასევე რეტროცესიის ხელშეკრულებათა რეგისტრაციას (ხელშეკრულებების ძირითადი რეკვიზიტების შეტანა, გადაზღვევის პროგრამის ფორმირება, ობიექტების რეგისტრაცია და ობიექტების მახასიათებლების და გადაზღვევის პირობების შეტანა).
- **ობლიგატორული გადაზღვევის მოდული** – უნდა უზრუნველყოფდეს ობლიგატორული გადაზღვევის შემავალი ხელშეკრულებების და ასევე რეტროცესიის ხელშეკრულებათა რეგისტრაციას (ხელშეკრულებების ძირითადი რეკვიზიტების შეტანა, გადაზღვევის პროგრამის ფორმირება, გადაზღვევის კრიტერიუმების და რისკების პირობების დადგენა, სატარიფო ბადეების შექმნა).
- **ბორდეროს დამუშავების მოდული** – უნდა უზრუნველყოფდეს ბორდეროს იმპორტის შაბლონების კონსტრუირებას სხვადასხვა კონტრაგენტებისთვის, უშუალო ბორდეროს რისკების იმპორტის, ბორდეროს განცხადებულ ზარალს, ბორდეროს გადახდილ ზარალს, ბორდეროს ფორმირებას რეტროცესიის ობლიგატორული ხელშეკრულების მიხედვით.
- **გადაზღვევის ანალიტიკური შსარდაჭერის მოდული** – უნდა უზრუნველყოფდეს გადაზღვევის საქმიანობის შესახებ ინფორმაციის სრული სპექტრის ანალიზს (ხელშეკრულებები, ობიექტები, ანაზღაურება, ბორდერო, ფინანსური მაჩვენებლები), მონაცემთა ფილტრების შაბლონების კონსტრუირებას და შენახვას, შედეგების ექსპორტს შ ხცელ, თ და სხვა ფორმატებში.
- **ზარალის დარევულირების მოდული** – უნდა უზრუნველყოფდეს ზარალის დარევულირების საქმის ფორმირებას (საქმის ძირითადი რეკვიზიტების შეტანა, ინფორმაცია სადაზღვევო შემთხვევების შესახებ, გადაცემული დოკუმენტების მიმაგრება, სადაზღვევო ანაზღაურების შესახებ ინფორმაციის შეტანა), გადაზღვევის ხელშეკრულების და ობიექტის შესახებ ინფორმაციის გადახდევას.
- **საბანკო ამონაწერის იმპორტის და გაცემული გადასახდების მოდული** – უნდა უზრუნველყოფდეს საბანკო ამონაწერების იმპორტს ფაილებიდან, გადასახდების რეესტრის ფორმირებას, გაცემული გადასახდების ჯამების გატარებას ხელშეკრულებების, ბორდეროს და ობიექტების მიხედვით.
- **კალუტის კურსის ცვლილების და იმპორტის მოდული** – უნდა უზრუნველყოფდეს ვალუტის კურსის იმპორტს ფაილიდან ან მონაცემთა ბაზიდან, ვალუტის კურსის შექმნას და რედაქტირებას.
- **ნორმატიულ-საცნობარო ინფორმაციის შეტანის მოდული** – უნდა უზრუნველყოფდეს სისტემური ცნობარების და ობიექტების მახასიათებლების შეცვლას, იერარქიული სამომხმარებლო ცნობარების შექმნას და მშარდაჭერას, ბიზნესის ყოველი მიმართულებისთვის სააღრიცხვო პარამეტრების შექმნას.
- **ნებისმიერი სხვა აქტუალური ამოცანები** – უნდა იყოს გათვალისწინებული და დამატებული კონკრეტული სადაზღვევო კომპანიების ინდივიდუალური მოთხოვების და კომპანიის მუშაობის სპეციფიკის შესაბამისად.

### 3. დასკვნა

გადაზღვევის ბიზნეს-პროცესი ბევრი ეტაპებისა და მიმართულებისგან შესდგება, რაც ბადებს სხვადასხვა შინაარსის და სირთულის ამოცანებს, რომელიც ცხადია უნდა შეასრულოს ინფორმაციულ-ტექნოლოგიურმა სისტემამ. ასეთი სისტემის შექმნა უზრუნველყოფს მონაცემთა დაგროვებას და კონსლობიდაციას და ასევე გადაზღვევის ბიზნეს-პროცესების ავტომატიზაციას. ასეთი ტიპის ამოცანათა გადაწყვეტა, მნიშვნელოვან დახმარებას უწევს პრაქტიკული ამოცანების ამოხსნას.

**ლიტერატურა:**

1. Казанцев С.К. Основы страхования: Уч. пособ., Екатеринбург. „ИПК УГТУ”. 1998
2. Журавлев Ю.М. Факультативное перестрахование./ Словарь-справочник терминов по страхованию и перестрахованию. М., „Анкил”, 1994
3. <http://www.ininfo.ru/insurance/index.php?pg=ins&sub=reins>.
4. კაგაშვილი ბ. ბიზნესი და კომენდებლობა. ანალიტიკურ-სამეცნიერო ჟურნ. „სადაზღვევო საქმე“. №23/21. 2010. <http://www.nplg.gov.ge/gsdl/cgi-bin/library.exe>
5. Пфайффер К. Введение в перестрахование. М., „Анкил”. 2000.

**THE PROBLEM OF AUTOMATION OF BUSINESS-PROCESSES REINSURANCE**

Tushishvili Marine<sup>1</sup>, Avalishvili Ketevan<sup>1</sup>, Jorjoliani David<sup>2</sup>

1-Georgian Technical University, 2-Mysoft Ltd.

**Summary**

In the article, there are discussed and considered the objectives of reinsurance as a complicated business process which at the same time represents a system of economic relationships. It is noted that the stability of insurance companies are largely determined by the policy of reinsurance and a clear choice for a partner reinsurance that requires optimal solutions. In the article, there are considered the basic forms, stages and directions of reinsurance, which entails the necessity of solving of different problems and requires the development of information systems for automation of these processes. The paper presents specific requirements, meeting the demands of the information-technological systems of the automation of reinsurance, as well as the key function modules.

**ЗАДАЧА АВТОМАТИЗАЦИИ БИЗНЕС-ПРОЦЕССОВ ПЕРЕСТРАХОВАНИЯ**

Тушишвили М.<sup>1</sup>, Авалишвили К.<sup>1</sup>, Жоржолиани Д.<sup>2</sup>

1-Грузинский Технический Университет,  
2-ООО. Маисофт.

**Резюме**

Рассмотрены задачи перестрахования как сложного бизнес процесса и, в то же время представляющего собой сложную систему экономических взаимосвязей. Отмечено, что стабильность страховых компаний в значительной мере определяется политикой перестрахования и четким выбором партнера перестрахования, что требует оптимального решения. В статье рассмотрены основные формы, этапы и направления перестрахования, что влечет за собой необходимость решения различных задач и требует разработки информационных систем, обеспечивающих автоматизацию этих процессов. В работе представлены конкретные требования, соответствующие запросам информационно-технологических систем автоматизации перестрахования, а также определены основные функции – модули.